სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

28730202866624

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

**ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N241459145**

რეგისტრაციის თარიღი

**31.10.2024 წ**

ნოტარიუსი: იამზე ჩანქსელიანი
მისამართი: ქ. თბილისი, მეტროსადგურ ,,სარაჯიშვილი''-ს მიმდებარედ
ტელეფონი: 2 65 77 33, 577 46 16 80

---

*სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18*

საქართველო
ქ. თბილისის ნოტარიუსი
იამზე ჩანქსელიანი
თბილისი, მეტრო სადგურ „სარაჯიშვილი“-ს მიმდებარედ
ტელ: 265-77-33

GEORGIA
NOTARY OF TBILISI
IAMZE CHANKSELIANI
Tbilisi, nearby metro station "sarajishvili"
Tel: 265-77-33

# სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდათერთმეტ ოქტომბერს, მე, ნოტარიუს იამზე ჩანქსელიანს, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, მეტროსადგურ სარაჯიშვილის მიმდებარედ, მომმართა მოქალაქე ჯონი სახელაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობით შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭოს გიორგი მაკარიძეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ითხოვა მინდობილობის პროექტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად მოქალაქე ჯონი სახელაშვილმა, დაბ. 28.02.1985 წელს, მცხ. ბობი ს. ჭალადიდი, პ№58001025824, მომმართა.

შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებაუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს.

## მინდობილობა

მე, ჯონი სახელაშვილი უფლებამოსილებას ვანიჭებ გიორგი მაკარიძეს, დაბ. 27.01.1979წ., პ№21001001693, იყოს ჩემი წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურში, ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და განვითარების სააგენტოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ჩემი სახელით შეიტანოს და შეათანხმოს ჩემი კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონების მშენებლობის პროექტი, ამათან მიიღოს დამტკიცებული მშენებლობის პროექტი და მშენებლობის ნებართვა. მინდობილი პირი უფლებამოსილია ჩემი სახელით აწარმოოს ნებისმიერი საქმე პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, ჩემი სახით მიმართოს განცხადებით, შუამდგომლობით და კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს (გამოითხოვოს), ჩააბაროს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი, აგრეთვე შეიტანოს განცხადება ზ/ალნიშნულთან დაკავშირებით, ჩემი სახელით ხელი მოაწეროს, მათ შორის განახორციელოს ჩემი სახელით ელექტრონულად ხელმოწერა და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალების შესრულებასთან. (გასხვისების უფლების გარეშე)

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა მიმნდობს.

გადახდილია საზღაური – 18.00 ლარი + დღგ 3.24 ლარი + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, სულ – 26.24 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის № 272 დადგენილების 31 და 39 მუხლებისა და საგადასახადო კოდექსისა.

მიმნდობი: ჯონი სახელაშვილი

ნოტარიუსი: /ი. ჩანქსელიანი/